კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

სსიპ ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	**მოსწავლეები**
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	VIII და IX კლასები
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	ო. ჰენრის მოთხრობა - „მოგვთა საჩუქარი'' 'The gift of the Magi'
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში *(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)*	✓ ფული, ✓ დაზოგვა, ✓ პირადი ფინანსების მართვა (საჭიროება და სურვილი, პრიორიტეტების დალაგება შესაძლებლობების მიხედვით), ✓ ინვესტიცია;
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები *(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)*	ლიტერატურული ნაწარმოების განხილვისას გამოყენებული იქნა სწავლების შემდეგი მეთოდები: **დისკუსია** - დისკუსიები სწავლის პროცესს ხდის უფრო საინტერესოს და სახალისოს; ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და ჩართულობის ხარისხს; დისკუსიები ხელს უწყობს რთული თემების დეტალურად შესწავლას, მოსწავლეებს საშუალება აქვთ ახალი ცოდნა დააკავშირონ რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და საკუთარ გამოცდილებასთან. სწავლების ეს მეთოდი ხელს უწყობს ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორიცაა: • სწორი ანალიზის გაკეთება; • კრიტიკული აზროვნება; • ეფექტური კომუნიკაცია; • თანამშრომლობა; • გუნდური მუშაობა და სოციალური უნარ-ჩვევები; • განსხვავებული შეხედულებების/პერსპექტივების მოსმენა, ანალიზი და შეფასება;

	• სხვისი აზრის პატივისცემა; • პრობლემების ერთად გადაჭრა; • ახალი იდეების გენერირება; **შემთხვევების/ქეისების განხილვა** - ქეისების და სიტუაციური ამოცანების განხილვა ეხმარება მოსწავლეებს გაიგონ, თუ როგორ გამოიყენება თეორიული ცოდნა და ცნებები პრაქტიკულ სიტუაციებში, დაუკავშირონ მიღებული ცოდნა რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებს; იღებენ პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სხვადასხვა მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით. აღნიშნული მეთოდის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესს ხდის უფრო მიმზიდველს, პრაქტიკულს და ეფექტურს, ამზადებს მოსწავლეებს რეალურ სამყაროში არსებული გამოწვევებისთვის მათი ანალიტიკური, გადაწყვეტილების მიღებისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებით. **ვიდეოს ჩვენება** - მოკლე, საინტერესო ვიდეოების გამოყენება სასწავლო პროცესში საკმაოდ ეფექტურია და განსაკუთრებით იპყრობს მოსწავლეთა ყურადღებას. ისინი აერთიანებენ ვიზუალურ და აუდიტორულ ელემენტებს, ხდის შინაარსს უფრო მიმზიდველს და ეხმარება სწავლის სხვადასხვა სტილის მქონე მოსწავლეებს საკითხის უკეთ აღქმასა და გააზრებაში; ამასთანავე, ვიდეოებს შეუძლიათ მცირე დროში წარმოადგინონ ვრცელი ინფორმაცია, რაც ეხმარება მოსწავლეებს ძირითადი საკითხების, შინაარსის სწრაფად გაგებაში. ვიზუალური და აუდიტორული ეფექტები ასევე აძლიერებს მეხსიერებას და დამახსოვრების პროცესს, რაც უადვილებს მოსწავლეებს ინფორმაციის გახსენებას მომავალში. **„შებრუნებული საკლასო ოთახი”** - კლასში შეხვედრამდე მოსწავლეები ეცნობიან/კითხულობენ მასწავლებლის მიერ მომზადებულ და მიწოდებულ მასალას (მაგალითად, საკითხავი ტესტი, ვიდეო, პოდკასტი, ჰენდაუტები და ა.შ.) რაც საშუალებას აძლევთ მათ, რომ აითვისონ მასალა საკუთარი ტემპით, არ იყვნენ შეზღუდულები საგაკვეთილო დროით, ეძლევათ საშუალება იურთიერთონ თანატოლებთან და მასწავლებელთან; საგაკვეთილო დრო გამოიყენება სხვადასხვა სასწავლო საქმიანობისათვის; მაგალითად, დისკუსია, სიტუაციური ამოცანების/ქეისების ანალიზი-განხილვა თეორიული ცოდნის რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირების მიზნით, სხვადასხვა პრაქტიკული სავარჯიშოების განხორციელება, ჯგუფური მუშაობა და სხვ.

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

აქტივობის აღწერა *(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)*	**კონკურსის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები რამდენიმე ეტაპად;** **კლასში შეხვედრამდე განსახორციელებელი აქტივობები (დრო - 1 კვირა):** 1. ო. ჰენრის ბიოგრაფიის გაცნობა; 2. ო. ჰენრის მოთხრობის - ,,მოგვთა საჩუქარი’’/ ‘The gift of the Magi’ წაკითხვა ქართულ და ინგლისურ ენებზე; **კლასში, გაკვეთილზე განსახორციელებელი აქტივობები:** 3. 6 წუთიანი ვიდეოს ჩვენება ,,მოგვების საჩუქარი" https://www.youtube.com/watch?v=0EByyzj-BmU ; შეკითხვები განხილვისთვის: • რამდენად საინტერესო იყო თქვენთვის ვიდეო? რა მოგეწონათ ყველაზე მეტად? • ტექსტის რა ეპიზოდებია წარმოდგენილი ვიდეოში? (მოსწავლეები ამოიკითხავენ შესაბამის ადგილებს ტექსტიდან ქართულ და ინგლისურ ენებზე) **(აქტივობის ხანგრძლივობა 10 წუთი)** 4. მოთხრობიდან საინტერესო, დასამახსოვრებელი ადგილების ხმამაღლა წაკითხვა და ერთმანეთისთვის გაზიარება ქართულ და/ან ინგლისურ ენაზე. **(აქტივობის ხანგრძლივობა 10 წუთი)** 5. დისკუსია **(აქტივობის ხანგრძლივობა 30-40 წუთი)** სადისკუსიო საკითხები: • როგორ ფიქრობთ, რატომ არის ფინანსური განათლება აუცილებელი? • როგორ უკავშირდება სიყვარული, მსხვერპლის გაღება და ფული ერთმანეთს? • როგორ გამოხატეს დელამ და ჯიმმა ერთმანეთის სიყვარული მოთხრობაში? თქვენი აზრით, იყო თუ არა ეს მათი მხრიდან მსხვერპლის გაღება? რა სახის მსხვერპლი გაიღეს მათ ერთმანეთისთვის და რა შედეგი მოიტანა ამ ქმედებამ? • თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ასეთი შედეგი და რაზე მიუთითებს დელას და ჯიმის ამგვარი ქმედება? რა დასკვნის გაკეთება შეიძლება მათი ამ ქმედებიდან? • რა განსხვავებაა სურვილებსა და საჭიროებებს შორის? რამდენად მნიშვნელოვანია მათი ერთმანეთისგან გამიჯნვა?

- როგორ დაადგინეს დელამ და ჯიმმა თავიანთი სურვილები და საჭიროებები საჩუქრების შერჩევისა და შეძენისას? იყო თუ არა მათი მხრიდან რაიმე სახის შეცდომა დაშვებული? რა შეცდომა დაუშვა წყვილმა?
- როგორ იმოქმედა დელასა და ჯიმს შორის კომუნიკაციის ნაკლებობამ საჩუქრების ყიდვასთან დაკავშირებით მათი ისტორიის შედეგზე? რა გაკვეთილი შეგვიძლია ვისწავლოთ აქედან ფინანსურ საკითხებთან მიმართებით?
- რამდენად მნიშვნელოვანია იმ ადამინის საჭიროებებისა და სურვილების გათვალისწინება, ვისთვისაც საჩუქარს ვყიდულობთ? რა შედეგი შეიძლება მივიღოთ წინააღმდეგ შემთხვევაში?
- როგორ ფიქრობთ, რამდენად ჰქონდა წყვილს გააზრებული სიმდიდრის ჭეშმარიტი მნიშვნელობა?
- როგორ შეეძლოთ დელას და ჯიმს უკეთ წარემართათ თავიანთი ფინანსები, რათა თავიდან აეცილებინათ სიტუაცია, რომელშიც აღმოჩნდნენ? როგორ მოიქცეოდით თქვენ?
- თქვენი აზრით, რა სტრატეგიები შეიძლება გამოვიყენოთ ბიუჯეტის სწორად დაგეგმვასა და მართვასთან მიმართებით დელას და ჯიმის გამოცდილებაზე დაფუძნებით?
- როგორ შეუძლიათ ინდივიდებს დაიცვან ბალანსი საკუთრ სურვილებსა (მათ შორის საჩუქრების გაცემის სურვილს) და ფინანსების პასუხისმგებლობით მართვის საჭიროებას შორის? რა პრობლემებს შეიძლება წავაწყდეთ ბალანსის დარღვევისას?
- თქვენი აზრით, როგორ უკავშირდება მოთხრობაში განხილული თემები: სიყვარული, მსხვერპლშეწირვა, დიდსულოვნება და კეთილშობილება რეალურ ცხოვრებაში ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღებას და ზოგადად ფინანსების მართვას?
- რას გვასწავლის ო. ჰენრის ეს ნაწარმოები? როგორ გამოიყენებთ რეალურ ცხოვრებაში ამ ცოდნას და გამოცდილებას?

6. ჯგუფური მუშაობა - მცირე ჯგუფებში მოსწავლეებმა აგრეთვე განიხილეს და შეასრულეს სიტუაციური ამოცანები სწორი ბიუჯეტირების და ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად; წარმოადგინეს საკუთარი მოსაზრებები, მოიყვანეს პრაქტიკული ცხოვრებისეული მაგალითები; **(აქტივობის ხანგრძლივობა 30-40 წუთი)**

სიტუაციური ამოცანა 1
Sharing Allowance:

- **Scenario:** You receive GEL 10 as your weekly allowance.

	• **Decision:** Decide how would you spend/share/save your money *(for example, how much money you want to save, how much you want to spend, and how much you want to share with a charity or a family member in need, and what you would spend or save for; etc.)* **სიტუაციური ამოცანა 2** **Planning a Trip:** • **Scenario:** You want to go on a school trip that costs GEL 50. • **Decision:** Decide how much money you need to save each week to afford the trip in two months, considering any additional expenses like transportation or snacks.
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	პროექტის ფარგლებში ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობების (დისკუსია, მსჯელობა, სიტუაციური ამოცანები) განხორციელების დროს დაკვირვების და მოსწავლეებთან საუბრის შედეგად მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები აცნობიერებენ ფინანსური განათლების, როგორც ერთერთი საბაზისო კომპეტენციის მნიშვნელობას და როლს თანამედროვე სამყაროში; ფინანსურად განათლებულ ადამიანს შეუძლია სწორი არჩევანის და რესურსების სწორი, ეფექტური ინვესტირების გაკეთება; საკუთარი სურვილების და საჭიროებების იდენტიფიცირება და მართვა, მათ შორის ბალანსის დაცვა; იღებენ სწორ, პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს მათ ფინანსურ კეთილდღეობას და წარმატებულ მომავალს.